

რექტორის 2024 წლის 02 ოქტომბრის №501 ბრძანებით
(ბრძანების ძალაში შესვლის თარიღი 03.10.2024წ.)

რექტორი, პროფესორი

მარინა ფირცხალავა



პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების წესი

მუხლი 1. პლაგიატი

1. პლაგიატი - სხვისი იდეის, ასევე ტექსტური, მედია (აუდიო, ვიდეო) ან სხვა ტიპის ნაშრომის (გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი) გამოყენება შესაბამისი ციტირების ან სხვა ტიპის მითითების გარეშე.
2. პლაგიატის ტიპები:
 - თვითპლაგიატი - ერთი და იგივე ნაშრომის (ან მისი კომპონენტის) განმეორებით წარდგენა/გამოქვეყნება ციტირების გარეშე თუ უკვე გამოქვეყნებული იყო ნაშრომი. ერთი და იგივე ნაშრომის პარალელურად გაგზავნის შედეგად გამოქვეყნება ასევე ითვლება პლაგიატად;
 - მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროებიდან ფრაგმენტების შერწყმა ისე, რომ არ ხდება ცალკეული წყაროების მითითება;
 - პირდაპირი პლაგიატი - წყაროდან ტექსტის სიტყვა-სიტყვით კოპირება შესაბამისი ციტირების გარეშე;
 - ენათშორისი პლაგიატი (cross-language plagiarism) - სხვა ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის თარგმნა და გამოყენება შესაბამისი ციტირების გარეშე;
 - პერიფრაზირება - შესაბამისი ციტირების გარეშე სხვის ნაშრომში გამოყენებული წინადადებების გამოყენება სიტყვების შეცვლით, ისე რომ წინადადების შინაარსი და სტრუქტურა არ იცვლება;
 - შემთხვევითი პლაგიატი - უნებლიე პერიფრაზირება, ციტირების გამოტოვება ან არასწორად მითითება. განიხილება როგორც გამიზნული პლაგიატი და გამოიყენება შესაბამისი სანქციები.

მუხლი 2. პლაგიატის პრევენცია და აღმოჩენა

1. პლაგიატის პრევენციის მიზნით უნივერსიტეტში სავალდებულო სასწავლო კურსის სახით ისწავლება აკადემიური წერა (ბაკალავრიატი), სამეცნიერო კვლევის მეთოდები (მაგისტრატურა).
2. სამეცნიერო ხელმძღვანელების მიერ, სტუდენტების ნაშრომების/კვლევითი პროცესის პერიოდული მონიტორინგი, აგრეთვე დასრულებული ნაშრომის მიმოხილვა, გამოყენებული ლიტერატურის და წყაროების გადამოწმება/შესწავლა ხელს უწყობს პლაგიატის პრევენციას და გამოვლენას.
3. ნებისმიერი ტიპის წერითი ნაშრომი მოწმდება პლაგიატის აღმოჩენის სისტემაში.
4. სტუდენტი დამოუკიდებლად ახდენს ნაშრომის ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმებას და საბოლოო შედეგს უგზავნის ხელმძღვანელს (ხელმძღვანელისთვის ხელმისაწვდომია შემოწმების შედეგები ანტიპლაგიატის სისტემაში). ჟურნალ(ებ)ში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ნაშრომების შემთხვევაში ნაშრომების ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმებას უზრუნველყოფს ჟურნალის სარედაქციო კოლეგია.
5. სტუდენტის ან ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ნაშრომის მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი დგინდება ანტიპლაგიატის სისტემის საშუალებით.
6. 15%-ზე მეტი მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი ახდენს ნაშრომის კორექტირებას.
7. 15%-ზე ნაკლები ან ტოლი მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე/დაცვაზე დაშვებას ან ნაშრომის კორექტირების მიზნით სტუდენტისთვის უკან დაბრუნებას განსაზღვრავს სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.
8. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმება ხორციელდება არა უგვიანეს სასწავლო სემესტრის მე-17 კვირისა.
9. ჟურნალ(ებ)ში გამოსაქვეყნებლად წარდგენილ ნაშრომში, ანტიპლაგიატის სისტემის მიერ, 15%-ზე მეტი მსგავსების გამოვლენისას ნაშრომი განხილვის გარეშე უბრუნდება ავტორს უკან და კარგავს იმავე ნაშრომის იმავე ჟურნალში გამოქვეყნების უფლებას. 15%-ზე ნაკლები მსგავსების შემთხვევაში ნაშრომი ეგზავნება რეცენზენტებს, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას ნაშრომის ჟურნალში კორექტირების გარეშე გამოქვეყნების ან ავტორ(ებ)ისთვის კორექტირების მიზნით დაბრუნების თაობაზე.
10. უნივერსიტეტის სტუდენტების და მასთან აფილირებული პერსონალის მიმართ პლაგიატის გამოვლენასთან დაკავშირებული დისციპლინური წარმოების დაწყება, საკითხის განხილვა, დასკვნის გამოტანა, გასაჩივრება და სანქციები რეგულირდება უნივერსიტეტის „ეთიკის კოდექსით“ და „შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“.

მუხლი 3. რეაგირება პლაგიატზე

პლაგიატის სიმძიმიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სანქციები:

1. სტუდენტების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) მიმართ:
 - ა) გაფრთხილება;
 - ბ) სტიპენდიით სარგებლობის უფლების შეწყვეტა;
 - გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

2. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მიმართ:
 - ა) საყვედური;
 - ბ) სასტიკი საყვედური სახელფასო სარგოს დაკავების ან მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებით;
 - გ) სამსახურიდან დათხოვნა.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე და ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანების თანახმად.